ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის სხდომის
ოქმი N6

25.07.2022

სხდომის ჩატარების ადგილი:
ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი
თვითმმართველობის შენობა.
რუსთაველის გამზირი N3

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის სხდომა ჩატარდა თვითმმართველობის შენობაში არსებულ სხდომათა დარბაზში, სხდომას ხელმძღვანელობდა კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ბექა ქებულაძე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

თეა ჯუღელი, მერაბ ჭოხონელიძე, მარეხი ნიჟარაძე, მანანა ჩიხლაძე, ბესიკ ხამაშურიძე, ხათუნა არველაძე, ქეთევან ხურციძე, თედო მესხი.

სულ 9 წევრი.

არ ესწრებოდა: ნინო ჩიკვაშვილი, კახაბერ გაბუნია, ანა კოხრეიძე.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი თეონა მელქაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების მმართველი ვაჟა ჯუღელი.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა ბექა ქებულაძემ და წარმოადგინა დღის წესრიგი:

1. ა. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის შესრულების თაობაზე, 6 თვის გაწეული სამუშაოს ანგარიშის მოსმენა.

   ბ. მიმდინარე საკითხები.

დღის წესრიგთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა, ღია კენჭისყრით ერთხმად დაადგინეს;

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მოისმინეს დღის წესრიგით გათვალისწინებული 1 საკითხი:

ა. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების თაობაზე, 6 თვის გაწეული სამუშაოს ანგარიშის მოსმენა.

ბ. მიმდინარე საკითხები.

წარმოდგენილ საკითხებზე ზოგადი მიმოხილვა გააკეთა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბექა ქებულაძემ:

,,მოგესალმებით ქალბატონებო და ბატონებო. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის სხდომას გახსნილად ვაცხადებ. თქვენის ნებართვით წარმოგიდგენთ მიმდინარე სხდომის დღის წესრიგს: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების თაობაზე, 6 თვის გაწეული სამუშაოს ანგარიშის მოსმენა - მომხსენებელი ბატონი ვაჟა ჯუღელი - ა(ა)იპ ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების მმართველი. გთხოვთ, ბატონო ვაჟა.

ბატონი ვაჟა ჯუღელი: ,, მოგესალმებით, მადლობა მოწვევისთვის. მინდა წარმოგიდგინოთ გაერთიანების 6 თვის ანგარიში. გაერთიანება არის მნიშვნელოვანი სტრუქტურული ერთეული, რომელიც მრავალფუნქციურია და მოიცავს 18 ფილიალს. აქ შედის 9 სასწავლო დაწესებულება, ხელოვნების კუთხით 7 ფილიალი. დაქვემდებარებაშია ასევე ბოტანიკური ბაღი და მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკი. სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლებას იღებს 3217 მოზარდი. მიმდინარეობს მ. ბალანჩივაძის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის და მე-4 სამუსიკო სკოლის რეაბილიტაცია. წარმატებული მოსწავლეები დაჯილდოვდნენ თიბისი ბანკის სტიპენდიით, ასევე განსაკუთრებული ღვაწლის და დამსახურებისთვის ,,ღვაწლმოსილი ქუთაისელის" წოდება მიენიჭათ მუსიკის პედაგოგებს მანანა მიქაბერიძეს, ქეთევან გვეტაძეს, ქეთევან მელქაძეს, ნანი ბოჭორიშვილს და ტატიანა ჯავახიშვილს.

გაერთიანების მხარდაჭერით ჩატარდა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა საახალწლო, დავითობის დღისადმი მიძღვნილი, ,,ორმაისობა", დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა, სხვადასხვა გასართობი ღონისძიებები, ქალთა დღისადმი მიძღვნილი კვირეული, მუზეუმების საერთაშორისო დღე, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, ,,ქარავან არტ ფორუმი ქუთაისი 2022", ასევე საანგარიშო კონცერტები, ჯაზის საღამო, ახალგაზრდა მუსიკოს შემსრულებლების სოლო კონცერტები.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თვრამეტივე ფილიალი არის უფასო, გარდა ბოტანიკური ბაღისა და გალერიისა.

ბექა ქებულაძე: ,,დიდი მადლობა ბატონო ვაჟა კომისიის სახელით, წლების განმავლობაში ჩართული ხართ თქვენს დიდ გუნდთან ერთად ქალაქის კულტურული ცხოვრების წინსვლისთვის, ხელს უწყობთ ნიჭიერ ახალგაზრდებს მათი შესაძლებლობების გამოვლენაში და შემდგომ რეალიზებაში. ჩვენ შეგვიძლია ერთობლივი ძალებით ძალიან ბევრი საქმე გავაკეთოთ ჩვენი ქალაქის საკეთილდღეოდ.

კომისიამ ღია კენჭისყრით, ერთხმად დაადგინა:

მოწონებულ და დადებითად შეფასებულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა

გაერთიანების 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების თაობაზე , 6 თვის გაწეული სამუშაოს ანგარიშის მოსმენა.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და
სპორტის კომისიის თავმჯდომარე
ბექა ქებულაძე